სექტორის მიმოხილვა

ხორბლის წარმოება საქართველოში

2023 წლის ივნისში, საქართველოს ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის მოთხოვნის შედეგად, საქართველოს მთავრობამ დროებითი იმპორტის გადასახადი დააწესა რუსეთიდან იმპორტირებულ ხორბლის ფქვილზე. ასოციაციამ იმპორტის გადასახადის დაწესება მას შემდეგ მოითხოვა, რაც 2021 წელს რუსეთმა ხორბალზე ე. წ. „მცურავი ბაჟი“ დააწესა, რის შემდეგაც, ხორბლის ფქვილთან შედარებით, ხორბლის იმპორტი საგრძნობლად გაძვირდა. შედეგად, ხორბლის ფქვილის იმპორტი მკვეთრად გაიზარდა და თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ხორბლის იმპორტი. საბოლოოდ, დაიხურა წისქვილები, ადგილობრივ მწარმოებლებს კი უჭირდათ ადგილობრივ ბაზარზე მოყვანილი ხორბლის რეალიზება. ფქვილის იმპორტის ამგვარმა ზრდამ, მნიშვნელოვნად გაზარდა რუსეთიდან იმპორტირებული ფქვილით ადგილობრივი წარმოების ფქვილის ჩანაცვლების რისკიც.





წყარო: საქსტატი, 2024

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ხორბლის ადგილობრივი წარმოების ზრდის მიუხედავად, საქართველოს ბაზარს ხორბლის თითქმის 80% სწორედ რუსეთიდან მიეწოდება. საქართველოში სურსათის დეფიციტის რისკების გრძელვადიან პერსპექტივაში შესამცირებლად აუცილებელია გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, მოსავლიანობის გაზრდა, ადგილობრივი წარმოების ხარისხის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელება, ხორბლის მწარმოებელთა წახალისება, ხორბლის ჯაჭვში დამატებითი ღირებულების შექმნის წახალისება და ხორბლის იმპორტის ბაზრების დივერსიფიციკაცია. გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში უმეტესად მცირე მეურნეობებია გავრცელებული, მნიშვნელოვანია ხორბლის მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის დარგში თანამედროვე მეთოდების დანერგვით.



წყარო: FAO, 2024

ფასები

ადგილობრივი ფასები

თვიურ ჭრილში, 2023 წლის დეკემბრიდან 2024 წლის თებერვლამდე, ქვეყანაში ფასების დონე მცირედით იცვლებოდა. 2023 წლის დეკემბერში (2023 წლის ნოემბერთან შედარებით) სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 0.1%-ით. 2024 წლის იანვარში (2023 წლის დეკემბერთან შედარებით) კი – 0.3%-ით. 2024 წლის იანვართან შედარებით, 2024 წლის თებერვალში ფასები თითქმის არ შეცვლილა.

2023 წლის დეკემბერიდან 2024 წლის თებერვლამდე პერიოდში, სურსათის ფასების ინდექსის (FPI) მიხედვით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. თვიურ ჭრილში, დეკემბერსა და იანვარში შესაბამის წინა თვეებთან შედარებით ფასები გაიზარდა 0.9%-ით და 1.7%-ით, ხოლო 2024 წლის თებერვალში ზრდამ 0.1% შეადგინა.





წყარო: საქსტატი, 2024. შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო

წლიურ ჭრილში CPI მცირედით გაიზარდა 2023 წლის დეკემბრიდან 2024 წლის თებერვლამდე. წინა წლის დეკემბერში CPI 0.4%-ით გაიზარდა 2022 წლის დეკემბერთან შედარებით; წლიურ ჭრილში 2024 წლის იანვარსში ფასების წლიურმა ცვლილებამ 0% შეადგინა, თებერვალში კი – 0.3%. 2024 წლის თებერვალში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში (FPI) ფასების დონე 3.5%-ით შემცირდა, რამაც CPI-ის 1.2%-ით კლება გამოიწვია. ძირითადი გამომწვევი ფაქტორი იყო ფასების კლება შემდეგი პროდუქტების ქვეჯგუფებში:



ზეთი და ცხიმი (18.7%↙)

ბოსტნეული და ბაღჩეული *(14.2%↙)*

პური და პურპროდუქტები *(9.8%↙)*

წყარო: საქსტატი, 2024.

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

საერთო ჯამში, წლიურ ჭრილში, 2023 წლის ნოემბრიდან სურსათის და უალკოჰოლო სასმელების ფასები საქართველოში კლებად ტენდენციას ინარჩუნებს. 2023 წლის დეკემბერში სურსათის ფასები წლიურ ჭრილში 2.7%-ით შემცირდა; იანვარში – 2.4%-ით, თებერვალში – 3.5%-ით. 2024 წელს ფასები ყველაზე მეტად შემდეგ კატეგორიებში გაიაფდა:

ზეთი და ცხიმები – ამ ქვეკატეგორიაში შემავალი ყველა პროდუქტი გაიაფდა. ყველაზე მეტად შემცირდა მზესუმზირის ზეთის (-28%), მარგარინის (-19%), კარაქის და სპრედის (-6%) ფასები, უმნიშვნელოდ შემცირდა მაიონეზის ფასი (-0.5 %.

ბოსტნეული – ამ კატეგორიაში შემავალი პროდუქტებიდან ყველაზე მეტად კარტოფილი (-34%) და მწვანე ლობიო (-15%) გაიაფდა. კარტოფილის ფასის ასეთი მკვეთრი შემცირების გამომწვევი მიზეზი შესაძლოა გაზრდილი ადგილობრივი წარმოება იყოს. მიუხედავად იმისა, რომ წარმოების სტატისტიკა ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის, აღსანიშნავია, რომ კარტოფილის იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. 2024 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში კარტოფილის იმპორტი 2023 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 91%-ით და 70%-ით შემცირდა, რაც ადგილობრივი წარმოების ზრდაზე მიუთითებს.

პური და პურპროდუქტები – ამ კატეგორიაში შემავალი თითოეული პროდუქტი გაიაფდა, ორცხობილისა და საცხობის ხაჭაპურის გარდა.

2024 წლის თებერვალში ყველაზე მეტად წიწიბურის (-42%), მანანის ბურღულის (-14%) და ხორბლის პურის (-10%) ფასები შემცირდა. აღსანიშნავია, რომ კარტოფილის მსგავსად, 2024 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში წიწიბურის იმპორტი გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით შემცირდა. იმპორტის მაჩვენებელი, შესაბამისად, 71%-ით და 55%-ით ნაკლებია.



წყარო: საქსტატი, 2024

საერთაშორისო ფასები

2023 წლის დეკემბრიდან 2024 წლის თებერვლამდე საერთაშორისო ფასები შემცირდა წლიურ ჭრილში. 2024 წლის თებერვალში, 2023 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი მკვეთრად შემცირდა (10.4%). ფასების ყველაზე დიდი კლება (22.4%) მარცვლეულის ქვეინდექსის ფარგლებში დაფიქსირდა. ამგვარი კლება განპირობებული იყო მსხვილ იმპორტიორებს შორის დიდი კონკურენციით. 2024 წლის თებერვალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რძის პროდუქტების ფასები 13%-ით შემცირდა, მცენარეული ზეთების – 11%-ით. ხორცის ფასები კი წლიურ ჭრილში 0.7%-ით შემცირდა. ფასები გაიზარდა მხოლოდ შაქრის ქვეკატეგორიაში: 2024 წლის თებერვალში ზრდის მაჩვენებელმა 2023 წლის თებერვალთან შედარებით 12.5% შეადგინა.



წყარო: FAO, 2024

საერთაშორისო ვაჭრობა

საქართველოს მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი 2024 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში 12%-ით შემცირდა 2023 წლის იმავე პერიოდთან შედარებით (915 მლნ აშშ დოლარიდან – 803 მლნ აშშ დოლარამდე). სხვა საექსპორტო კატეგორიებისგან განსხვავებით, აგრო ექსპორტი 22%-ით გაიზარდა და 2023 წელს არსებული 179 მლნ აშშ დოლარიდან 217 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2024 წელს. მთლიანობაში, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2024 წელს 2023 წელს არსებული 20%-დან 27%-მდე გაიზარდა.

მთლიანი ქართული ექსპორტისგან განსხვავებით, მთლიანი იმპორტი 4%-ით გაიზარდა და 2023 წელს არსებული 2,184 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წელს 2,261 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. აგრო პროდუქტების იმპორტი 12%-ით გაიზარდა და 2023 წელს არსებული 258 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წელს 290 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში, აგრო იმპორტის წილი მთლიან იმპორტში 2024 წელს 2023 წელს არსებული 12%-დან 13%-მდე გაიზარდა.





წყარო: საქსტატი, 2024
შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს

აგრო ექსპორტში წამყვანი პროდუქტი ტრადიციულად **ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინო**, რომლის ექსპორტის ღირებულებამ 2024 წლის იანვარ-თებერვალში 47,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მეხუთედს შეადგენს (21%). გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ღვინის ექსპორტი 15%-ით გაიზარდა.

ექსპორტირებული პროდუქციის მეორე ყველაზე მსხვილ კატეგორიაში შედიოდა **არადენატურირებული ეთილის სპირტი, ალკოჰოლური სასმელები, ლიქიორები და სხვა ალკოჰოლური სასმელები**, რომელთა ექსპორტმა 35,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტირებული საქონლის 5 ყველაზე მსხვილი კატეგორიიდან ყველაზე მეტად ზემოაღნიშნულ χგუფში შემავალი პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა (45%) წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის მაჩვენებელმა აგრო პროდუქტების ექსპორტის მთლიანი მაჩვენებლის 16% შეადგინა.

შემდეგ მოდის **წყლის, ნატურალური ან ხელოვნური მინერალური და გაზიანი უშაქრო სასმელების ექსპორტი**. აღნიშნული პროდუქტების ექსპორტის მაჩვენებელმა 21,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (43%-იანი ზრდა), რაც იანვარ-თებერვლის პერიოდში განხორციელებული აგრო პროდუქტების მთლიანი ექსპორტის 10%-ს შეადგენს.

შაქრის შემცველი წყლების, მინერალური და გაზიანი წყლების ექსპორტი 2024 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში არსებული 10,5 მლნ აშშ დოლარიდან 35%-ით გაიზარდა და 14,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც აგრო პროდუქტების მთლიანი ექსპორტის 7%-ს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ აგრო ექსპორტის მთლიანი მაჩვენებელი 22%-ით გაიზარდა, **ტყის თხილისა და სხვა თხილეულის ექსპორტი** მნიშვნელოვნად შემცირდა (22%) წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით (2023 წლის იანვარ-თებერვალში არსებული 16,3 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წლის იმავე პერიოდში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 12,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა). თუმცა ტყის თხილისა და სხვა თხილეულის წილი მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელში არ შეცვლილა და კვლავ 6% შეადგინა.



წყარო: საქსტატი, 2024
შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს

პოლიტიკის მიმოხილვა

კომიტეტებმა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს მხარი დაუჭირეს

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილეს და მხარი დაუჭირეს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, კანონპროექტის შემუშავების მიზანია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. კანონპროექტი უზრუნველყოფს ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვას, სახეობებისა და ჰაბიტატების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21593/

გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მკაცრდება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გამკაცრების პაკეტი წარადგინა. ცვლილებების პაკეტი შავი ზღვის დაბინძურებისთვის სანქციის გამკაცრებას ითვალისწინებს: 65,000-ლარიანი ჯარიმა 100 000 ლარამდე იზრდება. ამასთან, ელექტროშოკური აპარატის გამოყენება ხდება დასჯადი და ჯარიმა ამ მიმართულებითაც დაწესდება. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, თევზმიმზიდი ელექტროშოკური მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაცემა ან გასხვისება გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციას. განმეორების შემთხვევაში კი – დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით და სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციას. თევზჭერის ელექტრო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, ტარება, გადატანა-გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციას, განმეორების შემთხვევაში კი – დაჯარიმებას 6000 ლარის ოდენობით.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21592/

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21592/

ავტორები: გიორგი შავრეშიანი: giorgi.shavreshiani@iset.ge
სალომე გელაშვილი: s.gelashvili@iset.ge